„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია



---

10 იანვარი 2025 წ.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სალიცენზიო შეჯიბრება სარეიტინგო ტურნირებისთვის 2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის

2025 წელი
24-26 იანვარი
თბილისი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოისტთა შერჩევა უმცროს ჭაბუკთა სარეიტინგო ტურნირებისთვის;

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2009-2010 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან, რომელთაც ჩააბარეს წინასწარი გამოცდები ძიუდოს საწყისებში. გამოცდაჩაუბარებელი ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია პირადმა მწვრთნელებმა საკუთარი მოსწავლეების საწევრო გადასახადი, თითოეულ ძიუდოისტზე 100 (ასი) ლარი, ჩარიცხონ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე და შესაბამისი სია წარმოადგინონ (ან გამოაგზავნონ ელექტრონულად gjf.registr@gmail.com) ფედერაციაში. რის შემდეგაც შესაბამის ძიუდოისტებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- 2009 წელს დაბადებული ძიუდოისტები, რომლებიც 18-19 იანვარს საქართველოს ჩემპიონატზე 2008-2009 წლებში დაბადებულთა შორის მოხვდებიან საპრიზო სამეულში, თავისუფლდებიან სალიცენზიო შეჯიბრებიდან და პირდაპირ დაიშვებიან სარეიტინგო ტურნირებში, მაგრამ ისინი არ თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისგან.
- საწევრო თანხის გადარიცხვის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან. თანხა უნდა ჩაირიცხოს 23 იანვრამდე.

- დებულება საწევროს შესახებ
  კალენდარი
  საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
  საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
  მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - **BAGAGE22**
  მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG0000000121179301**

## IV. შეჯიბრების კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება 24-26 იანვარს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 23 იანვარი, წასვლის დღე – 27 იანვარი
  შეჯიბრების დასაწყისი 10:00* (შესაძლებელია ცვლილება).

## რეგისტრაცია:

- პირადმა მწვრთნელებმა საკუთარი ძიუდოისტები უნდა დაარეგისტრირონ ელექტრონულად 17 იანვრამდე.
- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gjf.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234

- 21 იანვარს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე. დამამშვიდებელ წრეში იმოქმედებს „ოქროს ქულის“ წესი.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
- -46კგ, 50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ;
- 24 იანვარი: -46კგ, -60კგ, -81კგ.
- 25 იანვარი: -50კგ, -66კგ, +81კგ.
- 26 იანვარი: -55კგ, -73კგ.
- **P.S.** რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.
- სარეიტინგო ტურნირისთვის გამოვლინდება წონით კატეგორიაში 32 ძიუდოისტი.

## VI. აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია. ბელიაშვილის 38.
აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.

- 23 იანვარი: -46კგ, -60კგ, -81კგ.
- 24 იანვარი: -50კგ, -66კგ, +81კგ.
- 25 იანვარი: -55კგ, -73კგ.

არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

## VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
საკონტაქტო პირი - ზურაბ უსუფაშვილი 577994407
ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244

**P.S.**

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე